№ 276 დეკემბერი 29, კვირა — 1891 — დეკემბერი 29, კვირა № 276

# ივერია

1877—1891 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ქართული თეატრი

კვირას, 29 დეკემბერს,

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## ალიუმი

კომედია 4 მოქმ., გადმოკეთებული ვალ. გუნიას მიერ

II

## ჭკრიჟელი ბიჭი

კომედია 2 მოქმ., თარ. ფრანგულიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ცაგარელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი ნ. ავალიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

---

## ღვინო

„მელაანი“ თავ. ი. ზ. ანდრონიკოვი და ამხ.

შედარებით ნაკლებ ფასად.

წლევანდელი ღვინო ბოთლი 15 კ., 20 კ. და 25 კაპ.
შარშანდელი ღვინო ბოთლი 30 კ., 40 კ. და 60 კ.
ძველი ღვინო 1 მ., 1 მ. და 50 კ. ბოთლი. ისყიდება:

საკუთარს მაღაზიაში, მიხეილის ქუჩა, სახ. ბერელაშვილისა; სარდაფში, მთაწმინდის ქუჩა, მჭედლოვის სახლში, და სურსათ-სანოვაგის მაღაზიებში ან. სარაჯევისაში, სამგზავრო ფოსტის პირდაპირ ვარვაროვისაში, გოლოვინის პროსპექტი, სახ. ორბელიანისა.

შედარებით ნაკლებ ფასად.

(3—3)

---

Открыта подписка на 1892 г. (сорокъ седьмой годъ изданія)

### НА ГАЗЕТУ

## „КАВКАЗЪ“

### Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ

Съ 1-го января наступающаго года газета „Кавказъ“ переходитъ въ руки новой редакціи и будетъ издаваться по расширенной программѣ и при обновленномъ составѣ сотрудниковъ. Главной ея задачей будетъ служить интересамъ Кавказскаго края и его населенія, а также интересамъ Россіи на Востокѣ.

Для сообщенія возможно полныхъ и точныхъ свѣдѣній газета будетъ имѣть корреспондентовъ во всѣхъ губерніяхъ и областяхъ Кавказа, въ важнѣйшихъ мѣстностяхъ Закаспійскаго края и Туркестана, въ Поволжьѣ, въ Харьковѣ, Одессѣ и другихъ городахъ, а также нѣсколькихъ специалныхъ корреспондентовъ въ С.-Петербургѣ и Москвѣ; за границею газета „Кавказъ“ будетъ имѣть корреспондентовъ въ Азіятской Турціи, Персіи, средне-азіятскихъ ханствахъ и другихъ странахъ Востока, а изъ европейскихъ мѣстностей—въ Парижѣ, Лондонѣ и Константинополѣ. Помѣщаемыя корреспонденціи будутъ касаться какъ политической и общественной жизни, такъ равно и торгово-промышленной.

Газета „Кавказъ“ будетъ выходить ежедневно (кромѣ дней, слѣдующихъ за большими праздниками).

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | Съ пересылкою иногороднымъ. | | По почтовому союзу. | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 11 р. 50 к. | На годъ | 13 р.—к. | На годъ | 18 р. 40 к. |
| „ ½ года | 6 „ — „ | „ ½ года | 7 „ — „ | „ ½ года | 10 „ — „ |
| „ 3 мѣсяц. | 3 „ 50 „ | „ 3 мѣсяца | 4 „ — „ | 3 мѣсяца | 6 „ — „ |
| „ 1 „ | 1 „ 50 „ | „ 1 „ | 1 „ 75 „ | 1 „ | 2 „ — „ |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей, причемъ иногородными вносится 3 р. при подпискѣ и по 2 р. къ первымъ числамъ марта, мая, іюля, сентября и ноября; городскими—въ тѣ-же сроки: 3 р., 2 р., 1 р. 50 к., 1 р. 50 к. и 1 р. 50 к.

Подписка принимается въ конторѣ газеты „Кавказъ“ (Тифлисъ, Пушкинская, № 12, д. Бабанасова).

(3—2)

## ახალი ამბავი

*** უგანათლებულესი თავადი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი, როგორც გვწერენ ქუთაისიდამ, ამ ჟამად ძლიერ ავად არის, იმ ზომამდის ავად, რომ წმინდა ზიარება მიუღია იმერეთის ეპისკოპოსისაგან. ამ დღეებში ავად-მყოფთან დაუბარებიათ ტფილისიდამ ცნობილი მკურნალი მალინინი.

*** დღეს, ამ თთვის 29, ტფილისის ქალაქის გამგეობამ ტფილისის ვაჭრებს ვაჭრობის ნება მისცა, რადგანაც მოახლოვებულია ახალი წელიწადი.

*** სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ახალწლის მეორე დღეს მომგები სალატარიო ბილეთების გაყიდვას დაიწყებენ. ბანკის განყოფილებაში მიუღიათ 1500 ბილეთი და ყიდვას დილით დაიწყებენ, მხოლოდ საფოსტო კანტორაში-კი 1000 ბილეთი მიუღიათ და საღამოს 5 საათიდამ 8-დე გაჰყიდიან.

*** ყოველ ღამე ტფილისის პოლიცია აპატიმრებს 20—50 კაცს, რომელთაც პასპორტები არა აქვთ და უსაქმოდ დაეხეტებიან ქუჩა-ქუჩა.

*** პარასკევს, ამ თთვის 27, საღამოს 9 საათზე ბარიატინსკის ქუჩაზე თოფის ხმა მოისმა. შეშინებულნი ამ ქუჩის მცხოვრებელნი კარში გამოცვივდნენ. ამ დროს ამ ქუჩაზე მოქროლავდა ეტლი, რომელშიაც ვიღაცა კაცი იჯდა. იქვე ახლო მდგომარე პოლიციელი ეტლს გამოუდგა, მაგრამ ვერ დაეწია. ამ საქმის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ვიღასაც ეტლს ქვეშ ასაფეთქებელი წამალი ჩაეგდო. ვის ჩაუგდია ეს ასაფეთქებელი წამალი ეტლს ქვეშ და ან რა აზრით, ჯერ არავინ იცის. აფეთქების დროს ახლო არავინ არა ყოფილა და უბედურება არა მომხდარა-რა.

*** თეირანიდგან ამბავი მოვიდა, რომ ამ თთვის 26 სპარსელები დასცემიან ინგლისის საელჩოს, მაგრამ მალე გამოუწვევიათ ჯარი, რომელსაც გაურეკნია სპარსელები. გარეკის დროს ჯარს თოფ-იარაღიც უხმარია და 15 სპარსელი და ერთი ჯარის-კაცი მოუკლავთ. ინგლისის დესპანს თავისის სახელმწიფოს დროშა ჩამოუღია, მაგრამ მალე ისევ აუმართავს, რადგანაც შაჰისაგან ამბავი მიუღია, რომ ჩემს ქვეშევრდომებს მალე დავამშვიდებო. მაჰმადიანების სასულიერო წოდება მთავრობას არასა ჰშველის თურმე.

*** შობის წინა დღეებში რამდენიმე შემთხვევა იყო მეტად თავ-გასულის ქურდობისა და სახლების გაძარცვისა ტფილისში. სულ ერთს დღეს გაძარცვეს, მაგალითად, ბ-ნი ფარულავა, კაუფმანი და ბოლოს ჯარაიანცისა. კაუფმანი რკინის გზის სამსახურშია, სდგას მტკვრის ნაპირის ქუჩაზე, საცა სულით ავადმყოფთა სადგურია, ვერის ხიდს ახლოს. ქურდები მისულან კაუფმანის სახლში შუაღამისას, როცა თვითონ კაუფმანი კლუბში ყოფილა, ამოუღიათ შუშა შესავალ კარისა, ასულან აივანზე, იქიდამ ორნი სახლში შესულან, საწოლს ოთახში, დასდგომიან თავს კაუფმანის ცოლს ხანჯლითა და დაუწყვიათ ქოთება სახლისა. გაუტანიათ ფული, ფასიანი ქაღალდები და ოქრო-ვერცხლი. ფარულავას სახლშიაც კარგად მოუთბიათ ხელი ავაზაკებს სწორედ იმავე დღეს 23 დეკემბერს. იმ ღამესვე სწვევიან ქურდები ჯარაიანსაც მთაწმინდაში. კარი გაუღიათ შერჩეულის გასაღებით. სახლში ყველას სძინებია. ავაზაკებს გაუღიათ ზანდუკები და ამოულაგებიათ ყოველივე, რასაც-კი ფასი ჰქონია და რაც ხელში მოჰხვედრიათ, სულ თითქმის 10,000 მანათის ღირებული. წაუღიათ ფული, ვექსილები, ბანკის ბილეთები და ოქრო-ვერცხლეული. როგორც შევიტყეთ, ამ ქურდობა-გაძარცვის გამო შობის მეორე დღეს, გუშინ-წინ, უკვე შეუპყრიათ ხუთი კაცი მოსამსახურეთაგანი.

*** ჩვენის ქართულის თეატრის საქმე დღითი დღე უფრო უკეთ და უკეთ მიდის. აქეთ-იქით დაქსაქსულნი სცენის მოღვაწენი ისევ უბრუნდებიან თავიანთს დედა-სამოქმედო ასპარეზს და ქართული დრამატიული დასი თანდათან უკეთესდება და განკარგებაში შედის. ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდა უწინდელი არტისტი ჩვენის სცენისა ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი და კვლავ ქართულს სცენაზედ აპირებს თამაშობას. როგორც შევიტყეთ, ამ ახლო ხანებშივე ტფილისშივე ჩამოვა ქ-ნი ანდრონიკაშვილი სამუდამოდ ქართულს სცენაზედ სამოღვაწეოდ. რასაკვირველია, თუ ყველა უწინდელი არტისტი ასე დაუბრუნდა ჩვენს სცენას, საუკეთესო დასი გვეყოლება, წარმოდგენები საუცხოოდ ჩაივლის ხოლმე და საზოგადოებაც უფრო მეტის თანაგრძნობით მოეკიდება თავისს სამშობლო სცენას, ვიდრე ამ ჟამად ეკიდება.

*** როგორც შევიტყეთ, სურამის პოლიციის ბოქაულად ნამყოფი ბ. დ. დეკანოზოვი დაუნიშნავთ ხიდისთავის ბოქაულად გორის მაზრაში.

*** 23 დეკემბერს ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია საჩივარი კასპიისა და შავის ზღვის ნავთის მწარმოებელის საზოგადოებისა, რომელიც 109,500 მანეთს ედავებოდა არტემ ყორგანოვს და საჩივარი არტემ ყორღანოვისა, რომელიც, პირიქით 200,000 მანათს ედავებოდა ხსენებულს საზოგადოებას. პალატამ შემდეგი განაჩენი დასდო საჩივრებს: კასპიისა და შავის ზღვის საზოგადოებამ უნდა გადიხადოს არტემ ყორღანოვის სასარგებლოდ ჯარიმა 100,000 მანეთი, რადგანაც თავის პირობა დაარღვია დ არტემ ყორღანოვსაც გადახდეს ამავე საზოგადოების სასარგებლოდ 109,500 მანეთი საზოგადოებასთან დადებულის პირობის დარღვევისთვის. ამას გარდა, არტემ ყორღანოვს მიეცეს ნება, რომ კანონის ძალით მოსთხოვოს ზემოხსენებულს საზოგადოებას მთელის წლის ანგარიში იმ ნავთისა, რომელიც ამ საზოგადოებას მიუღია ყორღანოვისაგან გასასყიდად.

*** 27 დეკემბერს ტფილისის სადგურის მახლობლად ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: რკინის გზის ლიანდაგის გვერდზედ ალაგია შპალები, რომელსაც უგებენ ქვეშ რელსებსა. იქა თამაშობდა 4 წლის ყმაწვილი. ამ დროს შპალები ჩამოიშალა, ბავშვი მოიტანა და გაჭყლიტა. საბრალომ მაშინვე სული დალია. ეს ყმაწვილი იყო შვილი აქავე მოსამსახურე, კასირის დუდუჩისა, საბრალო დედა მეტად შესაბრალი სანახავი იყო.

*** 25 ამა დეკემბერს სადგურ ელიზავეტპოლის მახლობლად მოჰყვა საქონლის მატარებლის თვლებში ორი კაცი, ტომით რუსი, როგორც ამბობენ, მეტად მთვრალი ყოფილან.

*** სადგურ ელიზავეტპოლის მახლობლად, ბუტკაში დაეცნენ მებუტკეს ესე იგი რკინის გზის დარაჯს. კაცი არ ყოფილიყო სახლში, დედაკაცს დაუძახეს კარი გაგვიღეო. დედაკაცს რომ დაუპატიჟებლის სტუმრის ხმა ვერ ეცნო და უარი ეთქვა კარის გაღებაზედ. ავაზაკებს განეზრახათ ძალით შესვლა ბუტკაში და ფანჯარა ჩაემტვრიათ. ამ დროს დედაკაცს ჩამოეღო თოფი და ესროლნა ავაზაკისთვის, რომელსაც პირში მოხვედროდა და იქვე დაცემულიყო; თან ღრიალიც მოერთო დედაკაცს და ხალხიც მოგროვილიყო. ეს მსხვერპლი ტომით თათარია.

*** სადგურ უჯარის მახლობლად, ყაზარმაში, რკინის გზის ლიანდაგის მუშებს—ლეკებს და თათრებს—მოუვიდათ ჩხუბი; ორმა ლეკმა დასჭრა რვა თათარი. დაჭრილები შეამოწმა ექიმმა და სთქვა, ოთხის მორჩენა შეუძლებელიაო და ოთხს-კი არა უჭირს-რაო.

*** 15 დეკემბერს პეტერბურგს „კეთილშობილთა სობრანიაში“ ჩვეულებრივი კონცერტი იყო გამართული პეტერბურგის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. კონცერტში მონაწილეობა მიიღო პატივცემულმა ბ-მა ა. კ. შელლერმა (მიხაილოვი), რომელმაც მშვენიერად და გრძნობით წაიკითხა ლექსი. პოეტმა ველიჩკომ წაიკითხა

აკაკი წერეთლის ლექსი, რომელიც საზოგადოებამ ძლიერ მოიწონა და მრავლის ტაშის კვრითაც დააჯილდოვა წამკითხველი. კონცერტზე ხორომ ქართული სიმღერები იმღერა. ყველაზე მეტად აღტაცებაში მოიყვანა კონცერტზე დამსწრე საზოგადოება ლეკურის თამაშობამ. ანტრაქტების დროს გამართეს ცოცხალი სურათები, პროფესორ მ. ნ. კლოდტის ზედამხედველობით. კონცერტი 12 საათზედ გათავდა და შემდეგ ცეკვა გაიმართა. კონცერტისა და ცეკვის დროს სობრანიის ოთახები მდიდრულად და მშვენიერად იყო მორთული, ხალხი ღამის სამს საათზედ დაიშალა.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლის შეცვლის გამო, რაიცა ამ თთვის 14 მოხდა, რკინის გზის სადგურის ფოსტაზე შემდეგი წესი იქნება შემოღებული წერილების გასაგზავნ-გამოსაგზავნად: 1) საფოსტო მარკებისა და ღია წერილების ბლანკების ყიდვა შეიძლება დილის 9 საათიდგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე; 2) უბრალო წერილები მიიღება ფოსტაში მუდამ დროს, ფოსტის აბგების შემწეობით, რომელიც რკინის გზის სადგურზეა გამართული. ამ აბგებიდგან წერილები ამოიღება ხოლმე 5 წუთით ადრე მატარებლის წასვლაზე; ამას გარდა, ყველა საფოსტო მატარებელზე გამართულია ფოსტის აბგები წერილების მისაღებად და 3) უბრალო წერილებისა და გაზეთების მიღება შეიძლება ტფილისის რკინის გზის სადგურზე იმ წამსვე, როცა მატარებელი მოვა, თუ წერილების ან გაზეთების პატრონი მოიკითხავს.

*** ამ თთვის 8-დგან დაწყებული 11-მდე ტფილისში ყვავილით ავად გამხდარა და მომკვდარა ერთი, ხუნაგითაც მომკვდარა ერთი, და ჩუტყვავილით ავად გამხდარა კიდევ ერთი.

*** გორი: აგერ ერთი თთვეა, რაც ჩვენს ქალაქში გამართა ცირკი იტალიელმა კარლოს მუმინომ; ყოველ დღე აქვს წარმოდგენები; 26 დეკემბერს ერთი საცოდაობა დატრიალდა: ცხენზედ თამაშობის დროს მხედარი ეფიმოვი, რომელიც ცხენმა გააჯავრა, გადმოხტა და ძიელ აღელვდა; ხელმეორედ შეჯდა, ცხენმა კიდევ ჯიუტობა დაიწყო; ამ დროს ეფიმოვი გადმოხტა, მაშინვე დაეცა მიწაზედ და ცოცხალ-მკვდარი გაიტანეს სცენიდამ; მანამ სამხედრო სამკურნალოში მიიტანდნენ, საბრალო გარდაიცვალა. დარჩა წვრილი ცოლშვილი, რომელთაც გორში უჭირავთ ქირით სახლი.

*** იქიდამვე: გუშინ, 27 დეკემბერს, ბათუმიდამ მომავალმა მატარებელმა ძალიან დაიგვიანა, ასე რომ გორის რკინის გზის სადგურზედ მეთორმეტე საათზედ ჩამოვიდა. მიზეზი დაგვიანებისა ყოფილა ის, რომ მარელისის სადგურზედ მატარებელი დასტაკებიყო „ვაგონეტკას“ და ამისაგამო ლიანდაგი გაფუჭებულიყო; უბედურობა-კი არა მომხდარა-რა. მაინც, ეს ორი კვირაა, თავთავის დროზედ არ დაიარებიან მატარებლები.

*** ღვარები: (გორის მაზრა) ღვარებში თ. ამილახვრის მოსამსახურე დასჭრეს თავში; ჭრილობა მსუმბუქი აღმოსჩნდა. ამ მოსამსახურისათვის ჩხუბი უქნია ვიღაცა შეშის მოიჯარადრეს, რომელიც ღვარებში სცხოვრებს და რევოლვერი უსროლნია.

*** ბათუმი: მომავალ იანვრის 4-ს აქაური ქართული დრამატიული დასი „პატარა კახის“ წარმოდგენას აპირობს. თვით პატარა კახის როლის შესასრულებლად მოიწვიეს ბ-ნი გ. ხუციშვილი, რომელსაც ტფილისის სცენაზედ რამდენჯერმე აუსრულებია ეს როლი.

*** ყვარელი: (თელავის მაზრა) ამ დღეებში ყვარელის საბოქაულოში ორი უბედურება მოხდა: 5 დეკემბერს სოფ. ძველს გავაზში ამავე სოფლის მცხოვრებელს ადამ ჭიჭილაძეს სასოფლო საქმეების შესახებ ჩხუბი მოსვლია მამასახლისის თანაშემწე გაბრო სამყურაშვილთან. ჩხუბის დროს ჭიჭილაძეს დანა ამოუღია და სამყურაშვილი მძიმედ დაუჭრია თავში. ჭიჭილაძე დაუპატიმრებიათ, სამყურაშვილის მორჩენა-კი სათუოა თურმე. სოფელს შილდაში-კი ვიღაც ბოროტ-გამზრახველს მამასახლისის ვენახში 52 ვაზი გაუკაფავს. ამბობენ, რომ ბოროტ-განმზრახველს მტრობა ჰქონია მამასახლისისაო.

*** დერპტი: (ლიფლიანდიის გუბერნია) დერპტის უნივერსიტეტის დოცენტი ბ-ნი ლეონჰარდ მაზინგი (Leonhard Masing) სწავლობს ამ ჟამად ქართულს ენას. ბ-ნი ლ. მაზინგი სლავიანურ ენების დოქტორია ლეიპციჰის და დერპტის უნივერსიტეტებისა. მისი თხზულება: „უმთავრესი ფორმები სერბიულ-ხორვატულ აქცენტისა (Die Hauptformen des Serbisch - Chorvatisch Accents), დაბეჭდილი ს-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის მემუარებში, VII სერია, ტომი XXIII, № 5, საუკეთესო თხზულებაა ამ საგნის შესახებ. ეს თხზულება წარედგინა დოქტორის ხარისხის მისაღებად ლეიპციჰის უნივერსიტეტს. დანარჩენ მის თხზულებათა შორის უფრო ცნობილია სამაგისტრო დისსერტაცია; „ეტუდები“. „ზბორნიკ სვიატოსლავა“-ს შესასწავლელად (studien zur Kenntnips des „sbornik svjatoslava“); ცნობილია აგრეთვე სადოქტორო დისერტაცია დერპტის უნივერსიტეტისა: „შესწავლა ხმათა აქცენტისა მაკედო-სლავიანურ დიალექტისა“ (Zuv Laut-und Accentlehre der Macedo-slavishe Dialekte). ნიჭი და ცოდნა, რომელიც ბ-მა მაზინგმა გამოიჩინა უწინდელს თავისს ნაწერებში, გვაძლევს იმედს, რომ ქართულ ენის მეცნიერებასაც ბევრს საინტერესო ცნობას შეჰმატებს ბ-ნი მაზინგი.

*** იქიდამვე: 12 ამ თთვეს აქაურს უნივერსიტეტში იყო წლიური აქტი. ჩვეულებრივის საქტო სიტყვის შემდეგ, რომელიც წრეულს წარმოსთქვა პროფესორმა ჰერშელმანმა და რომელიც შეეხებოდა ახლად ნაპოვნს ბერძნულს პოემას ალექსანდრიის ეპოქის დროინდელს, იყო წაკითხული წლიური ანგარიში და გამოცხადებულ იქმნა იმ სტუდენტების გვარები, რომელთაც მიიღეს მედლები და სხვა ჯილდონი უნივერსიტეტისაგან დანიშნულ თემების განმარტებისათვის. სხვათა შორის ოქროს მედალი მიიღო ერთმა კავკასიელმა (ბ-მა ტერ-მოსესიანცმა) თემისათვის: „არგოსელთა მოგზაურობა ძველ სამხატვრო ხელოვნებაში (Der Argonautensug in der antiquen Bildenden Kunst). აქაურს უნივერსიტეტში 1600 მეტი სტუდენტია, მათ შორის მხოლოდ ორი კავკასიელი ურევია, ერთი ქართველი და ერთიც სომეხი.

*** „საფინანსო უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ წლეულს ცხრა თთვის განმავლობაში სახელმწიფო შემოსავალი შარშანდელთან შედარებით $17^1/_2$ მილიონ მანეთით ნაკლებიაო.

*** 26 დეკემბერს პოლიციის მერვე ნაწილში ფედოროვის ტრაქტირში მიხეილ კანდაკოვი პავლე ვორონოვს წაეჩხუბა და დანით მუცელში დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

*** ამავე დღეს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე დილის თორმეტის ნახევარზე კნ. ელისაბედ მუხრანსკის სახლში შევიდა და სასადილო ოთახიდამ ორი ჩაისა და ერთი სტოლის კოვზი და ერთიც ჩაის საწური მოიპარა. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 26 დეკემბერს პოლიციის პირველს ნაწილში იაკობ მედვედევის სახლში ქურდობაზე მიუსწრეს სოფ. მრავალ ძალის მცხოვრებელს მზარეულს გერასიმე სხირტლაძეს და შეიპყრეს. დამნაშავემ აღიარა თავისი დანაშაული. ფედოროვის სახლიდამაც მოვიპარე კალოში და კნ. მუხრანსკის კოვზებიც მე წავიღეო და ეფენდი მას-ალი ოღლის მივყიდეო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია. არ იქნა, ვერ გაიხარა ჩვენმა მხარემ ავ-კაცობისაგან, ვერ მოისვენა ცხოვრებამ, ხალხმა ვერ ამოისუნთქა თავისუფლად და ვერ გაიმართა წელში. მუდამ შიშში, ცახცახში და ვაი-უშველებელში უნდა მიდიოდეს ჩვენი სიცოცხლე, მყუდროება, მშვიდობიანობა გვენატრებოდეს და ისე გვეპარებოდეს წუთისოფელი. უსაფუძვლო იქნება იმის თქმა, რომ ყურადღებას არ გვაქცევენ, არა გვპატრონობენო: სამაზრო ადმინისტრაცია დიდს მხნეობას, სიფხიზლეს იჩენს ბოროტ-მოქმედების ამოსაფხვრელად და ავ-კაცობის ასალაგმავად, მაგრამ ავი კაცები თავისას არ იშლიან. სასურველია და საჭირო შეძლებისა და გვარად მთელის მაზრის მკვიდრთ აღმოუჩინონ პოლიციას შემწეობა ავაზაკების შესაპყრობლად. სირცხვილია მთელის გურიისათვის, რომ ისე გათამამდნენ ავ-კაცები, დაიბრიყვეს ხალხი და აწიც, ვინ იცის, რას არ ჩაიდენენ. აქეთ სულ ასეთი ამბები ისმის: აქ დუქანი გასტეხეს, იქ ცხენები მოიპარეს, იმას ესა და ეს წაართვეს, ის აატირეს, ეს გალახეს. აი ეს არის ყოველ-დღიური ამბავი ჩვენში. 4-ს ამ დეკემბრის თთვისას სოფ. ბახვს ერთს კაცს ღამით მიუხდნენ ყაჩაღები ოჯახში და რამდენიმე თუმანი წაართვეს. მეორე დღეს, 5 დეკემბერს, საღამოს 11 საათზედ, შემოვიდა ჩემთან ოთახში ჩემი ნაცნობი მიქელ-გაბრიელის სოფლის მწერალი ი. ღ—ტი, შემკრთალი, შეშინებული, გაფითრებული ნერწყვ-გამშრალი ბაგე-ჩალურჯებული. ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი და მან მიამბო შემდეგი:

„დღეს დილას მიქელ-გაბრიელიდგან წაველი სუფსის რკინის გზის სადგურზე. დილის 9 საათი იქნებოდა, რომ მივაღწიე ომფარეთის ტყეს (ჩოჩხათის საზოგადოებაშია). იარაღი არ მქონებია. თითქოს მიწიდგან ამოძვრნენო, დამხვდა სამი შეიარაღებული, თავ-პირ შეხვეული ყაჩაღი. დამიმიზნეს თოფები და მითხრეს, მოგვეცი ფულიო; მე უარზედ დავდეგი, არა მაქვს-მეთქი; მაშინ ერთი იმათგანი მომვარდა, ჩოხა-ახალუხის ღილები დამაწყვიტა და წაიღო საფულე, რომელშიაც იყო 144 მანეთი 90 კაპეიკი და ორიც ჩემთვის დიდად გამოსადეგი ქაღალდი, წაიღეს და გაიქცნენ. ორი სხვა ავაზაკი კიდევ გამოჩნდა გზას იქით; დამიმიზნეს თოფები, დამიფიცეს ღმერთი, მოდი ჩვენთან, თორემ ახლავე მოგკლავთ, გაგათავებთო. რას ვიზამდი, დავემორჩილე. ერთი წინ წამიძღვა, მეორე უკან გამომყვა, შემიყვანეს დაბურულს ტყეში. მითხრეს, მოიტა ფულიო! ვუთხარი, რაც მქონდა, თქვენმა ამხანაგებმა წაიღეს-მეთქი. ის რა უნდა იყოს, კიდევ გექნება, ტფილისში მიდიხარ და მეტი ფული არა გაქვსო! გამიჯავრდნენ. (მე ვაჭარი ვეგონეთ, ქალაქს საქონლის მოსატანად მიმავალი). მიბრძანეს, დაჯექი და წაღები გაიხადე, ფულები გექნება შიგაო. რომ არ აღმოჩნდა, იწყინეს, ჩემი ქოლგა დამარტყეს და გადამატეხეს. ტანისამოსის გახდა და წართმევა დამიპირეს. ვუთხარი, ბევრი ფული ვინ მომცა, სოფლის მწერალი ვარ-მეთქი, მაშინ მოლბნენ ცოტა და მითხრეს: რადგან ასეა, შენ ტანისამოსს აღარ გართმევთ, სამაგიეროდ მოგვიხერხე ისე საქმე, რომ თავისუფლად მსვლელობის ბილეთი გვიშოვეო, მე ვუთხარი კი-მეთქი, მაგრამ როგორ შემიძლია, გადმოგცეთ-მეთქი; მათ მითხრეს: 15 დღეს თუ არ გამჟღავნდება ეს ამბავი, მაშინ დავრწმუნდებით, რომ შენ არ გვიღალატებ, გაცოდინებთ, თუ ვის უნდა გადასცე ბილეთი და რა ნიშნებისა. წავიდნენ იქით, საითაც სამი მათი ამხანაგი! „დამიმოწმეს“ არამც-და-არამც, არ გაგიწყრეს ღმერთი, არსად წამოგცდეს, დამიხვდნენო, თორემ მოგაგნებთ, სადაც იყო და კეთილს არ დაგაყრითო. როგორც-კი მომცილდნენ, გაველი შარაზე, მუშები ტყეში შეშასა სჭრიდ-

# ფელეტონი

### საშობაო ფანტაზია

მანეთიანი

მანეთიანი იწვა თავისს ოთახში მშვენიერ ძვირფას სპარსულის ხალებითა და ჯეჯიმებით მორთულს დივანზე და არა ჩვეულებრივს ფიქრს მისცემოდა. ეს მანეთიანი ის ყვითელი, ცვლილების მოყვარე, მანეთიანი არ იყო, რომლის იდეალიც ორი უზალთუნიანი გამხდარა. ეს იყო სქელი, დიდ თვალა ხაიმ ივანიჩ მანეთიანი. იგივე პიერ ედგარდიჩ გულდენი, პატრონი ჩინებულის მაღაზიისა და უზარმაზარის ქარხნისა, რომლიდგანაც, როგორც ცეცხლ-მფრქვეველ მთიდგან სქლად ამომავალი კომლი მზეს აბნელებდა, მონაწილე სამის ბანკისა და ბევრ სხვა ოქროეულ საზოგადოებისა.

შობა ღამე იყო, ის ღამე, როცა გახარებულს ბავშვებს თვალები სიხარულით ციცინათელასავით უბრწყინავთ, აქეთ-იქით დაურბით და იმათი სიცილი განათებულ იოლკის გარშემო მოძახილივით გაისმის. მანეთიანმა დაინახა ვეებერთელა ვარსკვლავი, რომელიც მეზობლის სახლს ზედ ბანზედ დასცქეროდა, მოაგონდა, რომ ხვალ შობაა და პატარა ბიჭები ივლიან „ვარსკვლავითა“ და „ქების სიმღერით“. ამ გარემოებამ მოაგონა თავისი პატარაობა და უეცრად გირვანქა სტერნილგებსა, ვექსილებსა, პროცენტებსა და დივიდენტებს შორის, რომელსაც შეეხებოდა მუდამ ხაიმ ივანიჩის ჩვეულებრივი ფიქრი, გამოერია „სიყვარული მოყვასთა“. მანეთიანმა მოინდომა, რომ დიდი, კარგი და სამართლიანი რამ გაეკეთებინა: მაგრამ, რადგან კარგად არა ჰქონდა წარმოდგენილი, რა არის სამართლიანი და უსამართლო, ამ აჟინებულმა გულის წადილმა უეცრად გააშტერა. უნდა მცოდნე ხალხს დავეკითხოვო, იფიქრა მანეთიანმა: მანეთიანის სურვილი ხომ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს და აი აღეძრა თუ არა ეს სურვილიცა, მაშინვე გაიღო კარები და ოთახში შემოვიდა მშვენიერი ხუჭუჭთმიანი, გრძნობითა და აღტაცებით სავსე პოეტი.

სწორედ კარგს დროს მობრძანდითო, უთხრა ხაიმ ივანიჩმა.—წარმოიდგინეთ, რა აზრი მომივიდა თავში! შეიძლება გულის თქმა მატყუებდეს, მაგრამ თითქო მგონია-კი, რომ მინდა დიდი და კეთილი რამ საქმე გავაკეთო.

— არა, გულის თქმა არ გატყუებთ! აღტაცებით წარმოსთქვა პოეტმა: თუნდა დაგენაძლევებით, რომ ამ შობა ღამის ვარსკვლავმა,—იმ შვენიერმა, მშვიდმა მნათობმა აღაგზნო თავისის სხივებით თქვენს გულში ღვთიური გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა.

— მართალი ბრძანდებით. ეგ აზრი სწორედ მაგ ვარსკვლავის გამო მომივიდა—გთხოვთ, თქვენი აზრი მითხრათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცე. პოეტის ჩვეულებრივმა აღტაცებამ ფრთები შეისხა.

— ძალიან ბედი მხვდა წილად! შეჰყვირა იმან და გულში ჩაიკრა ხელი. ყოველთვის იმას ვამბობდი და კიდევაც ვიტყვი, რომ ჩვენ უნდა ვიქონიოთ საქმე გულთან და არა გონებასთან. კაცობრიობას თბილი და ლმობიერი გული აძლევს შვებას და არა ცივი გონება! როცა თქვენზედ ამბობენ ხოლმე, ხაიმ ივანიჩ მანეთიანი გულქვა, თავმოყვარე კაციაო, იმისგან სამართლიანს საქმეს არ უნდა გამოველოდეთო, მე ყველას იმას ვეუბნები, რომ შემცდარნი ხართ, არ უნდა გაჰკიცხოთ აგრე უმიზეზოდ კაცის გული-მეთქი, მინამ გული ადამიანისა ოქროს ქერქში ზის, შეიძლება ცივი იყოს, როგორც ყინული, და უწყალო, როგორც კაცის ბედი, მაგრამ ჩვევ უნდა ამ ოქროს ქერქში მყოფს გულთან გზა მივიკვლიოთ და მაშინ ისიც ატოკდება სიყვარულით. ამისთანა დროს საჭიროა ისეთი ენა-მეტყველობა, რომელსაც შეუძლიან „გულის მოთუთქვა“, საჭიროა პოეზია, მუსიკა, თქმა სიმღერებისა. ზოგჯერ საკმარისია, კაცმა დაინახოს ის სურათი, როდესაც მზე დასავლეთის-

ნენ, ერთი იმათგანი წამოვიყვანე და ვაჩვენე ავაზაკების კვალი. მან მითხრა: წადი შენ სუფსაზე და მე სხვა მუშებსაც მოვიხმარიებ და ჩავუდგები კვალში ავაზაკებსაო. მივედი სუფსის სადგურში; დეპეშა გავგზავნე სამაზრო სასამართლოში და ჩოჩხათისა და მიქელ-გაბრიელის მამასახლისებს გავაგებინე, ეხლა ვუყურებ, ოზურგეთიდგან რა ამბავი მოვა, იქიდგან მოსრულებსაც უნდა ვაჩვენო ავაზაკების კვალიო“.

მეორე დღეს დილით გავიგე: როგორც-კი მისულიყო დეპეშა, მაზრის გამგებელს ფიცხლავ გამოეგზავნა ჯარის კაცები; თუმცა საძაგელი დარი იყო, მაგრამ ჯარის კაცებს საუცხოვო სიჩქარით ევლოთ, „მოეგრაგნათ მთა და გორი“, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერას გახდნენ. იმ ადგილზედ, სადაც გაძარცვა მოხდა, გამოსაკვლევად და ოქმის შესადგენად მოვიდა პოლიციის მოხელე ბ-ნი პორფირი ვაშალომიძე.

ქვიანელი

## რა არის ელევატორი?

წერილი მეოთხე

ვინ, როგორ და რა გვარი ელევატორები უნდა ააგოს ჩვენში? აი ეს საკითხი უნდა გამოვიკვლიოთ და განვსაჯოთ ამ ჟამად.

ელევატორის სამშობლო, როგორც ვუწყით, ამერიკაა. მართალია, საქონლის საწყობი, რომელსაც შემდეგ ელევატორებიც მოჰყვა, პირველში ძველს ქვეყანაში გაჰმართეს— ინგლისსა, საფრანგეთში და სხ., გაჰმართეს მაშინ, როდესაც ამერიკელებს საერთაშორისო ბაზარში არავითარი ძლიერი ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონდათ. ხოლო რაც შეეხება პურის ელევატორებს, იმათი აგება და მოწყობა-გამართვა ამერიკელების ნამოქმედარია და ამას ვერც ვერავინ შეეცილება.

ამერიკელები სამ რიგად ანაწილებენ ელევატორს: ა) რკინის გზის სადგურისა, ანუ სოფლის ელევატორი; ბ) შინა ელევატორი, და, დასასრულ, გ) სანავთსადგურო ელევატორი.

რკინის გზის სადგურისა, ანუ სოფლის ელევატორი, რომელიც ცხენით, ან ორთქლით მოჰყავთ მოძრაობაში, პირველი ინსტანციაა, საიდგანაც წესიერად ჰგზავნიან ევროპას, ან სხვა შინა დიდს ბაზრებში პურს. პურის პატრონს, რაკი ხორბალს ამ ელევატორში მიიტანს, შეუძლიან ან აქვე მიჰყიდოს თავისი საქონელი ვაჭარს და ამ გვარად თავი განითავისუფლოს, საზრუნავად არა ჰქონდეს, ან შინა ელევატორსა და შემდეგ სანავთსადგუროში გაჰგზავნოს. თუ გაზეთებს ადევნა თვალ-ყური და ამის წყალობით პურის ფასი კარგად იცის, ყოველთვის შეუძლიან თავისი ინტერესი დაიცვას და უსინდისო ჩარჩს არ გაეყვლეფინოს, ვინიცობაა, რაისამე ანგარიშის მიზეზით, იქავე უნდა მოიშოროს თავიდგან პური. საჭიროა აქავე დავსძინოთ, რომ ამერიკაში რკინის გზა თითქმის ყველგან არის, სადგურის ელევატორიც დიდ-ძალი მოიძებნება, ზოგი კერძო ამხანაგობათა და კაცთა, ზოგიც რკინის გზების საკუთრება, ასე რომ, ორთა შუა რიცხვით, ბ-ნ ორბინსკის ანგარიშით, რომელმაც ფინანსთა სამინისტროს მინდობილობით გამოიკვლია პურის ვაჭრობის საქმე ამერიკაში, პურის პატრონს სულ 15—20 ვერსის გავლა სჭირდება, რომ თავისი ხორბალი ელევატორს ჩააბაროს. ჩვენ, რასაკვირველია, ვერც რკინისგზების სიმრავლით დავიკვეხებთ, ვერც სიკეთით მოვიწონებთ თავს, მაგრამ სამაგიეროდ, გზის სიმოკლის გამო სოფლის ელევატორებისათვის არც იმდენი ხარჯი დაგვჭირდება, რამდენიც ამერიკელებს დასჭირებიათ.

მეორე მხრივ, ჩვენის აზრით, არც საჭიროა ჩვენთვის შინა ელევატორები, რომელსაც აზრად აქვს ხორბალს თავი ერთად მოუყაროს, პაწია სადგურის ელევატორების პური შეაქუჩოს, რომ მერე ერთად სანავთსადგურო ელევატორებში გაჰგზავნოს. ამერიკა ისეთს ვრცელს მანძილზეა გადაჭიმული, რომ, რასაკვირველია, დიდ-ძალი ელევატორი დასჭირდებათ; ასევე დიდ-ძალი ელევატორია საჭირო რუსეთის შიდა გუბერნიებისთვის. ჩვენის ქვეყნისთვის-კი, რომელსაც ერთად-ერთი გზა აქვს ტვირთის გასაგზავნი და რკინის გზაც ერთია, ჩვენის აზრით, ადვილად მოივარგიანებს საქმეს უშინა ელევატორებოდაც და სადგურისა, ანუ სოფლისა და სანავთსადგურო ელევატორებიცა ჰკმარის.

სანავთსადგურო ელევატორი რომ გვქონდეს ქ. ფოთში და რამდენიმე სადგურის ელევატორი ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაყოლებაზედ, ახალ-სენაკსა ანუ სამტრედიაში, გორსა ანუ ტფილისში, აქსტაფასა და ევლახსა ანუ ლიაკში, პირველში საკმაო იქნება, მით უმეტეს, რომ იმედია, შემდეგში, რაკი ელევატორის საქმე წარიმართებს, სადგურის ელევატორი გამრავლდება და ყველგან დაარსდება.

მხოლოდ ის საკითხი-კი, რომელი უფრო საჭიროა ჩვენთვის—სადგურის ელევატორი, თუ სანავთსადგურო, უმნიშვნელოდ მიგვაჩნია, რადგან ჩვენთვის ერთიც საჭიროა და მეორეც. საქმე ის არის, თუ რითი უნდა დავიწყოთ ელევატორის საქმე, ჯერ სადგურის ელევატორი უნდა დავაარსოთ, თუ ჯერ სანავთსადგურო?

ამ საკითხის აღნიშვნაც კმარა, რომ გადაწყვეტილად ჩაითვალოს. ყოველისავე ელევატორის სიკეთით, წინა წერილებში ჩამოთვლილ, მაშინ შეიძლება სარგებლობა, თუ სანავთსადგურო ელევატორია დაარსებული, ისეთი დიდი და ვრცელი, რომ ინსპექციაცა გვქონდეს, მარცვალის სარჩევიც, სესხის საქმეც კარგს ნიადაგზედ იყოს დაყენებული და სხვ. წარმოიდგინეთ, რომ დიდ-ძალი სადგურის ელევატორი გვაქვს და სანავთსადგურო, დედა-ელევატორი-კი არ მოგვეპოვება, რომელსაც შეუძლიან დიდ-ძალი პური დაიტიოს და საზღვარ გარეთ გაჰგზავნოს. აშკარაა, სადგურის ელევატორს საკმაოდ დაეკარგება მნიშვნელობა და ვერც შეიძლებს იმ სიკეთის მოტანას, რომელსაც სხვა შემთხვევაში შეიძლებდა. ჯერ ერთი, ვეღარ მიიბარებს დიდ-ძალს მიყრილს ამანათს პურისას, რადგან მიბარებულს და უძრავად დარჩენილს ექნება ადგილი დაჭერილი, რადგან სანავთსადგურო ელევატორი არ გვექნება, რომ იმას გადასცენ ამანათი სადგურის ელევატორებმა. არც წვრილმანი ხარჯი შემცირდება, რადგან ვაგონებით პური ფოთში იმავე წესით უნდა სცლონ, როგორც აქამდე სცლიან. ამს გარდა, სადგურის ელევატორებიც მეტად დიდრონი დაგვჭირდება ამანათის უძრავად ყოფნის გამო, და დიდრონს ელევატორებს ხომ დიდი ხარჯიც დასჭირდება.

ამასთან არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამ გარემოებასაც, რომ ამიერ-კავკასიას ისეთი უშველებელი სანავთსადგურო ელევატორი, როგორებიც ამერიკაშია, სულ არ დასჭირდება. ელევატორის სიდიდე და სიმცირე იმაზედ-კი არ არის დამოკიდებული, სად არს იგი გამართული, სანავთსადგურო ქალაქში, თუ რკინის გზის სადგურთან, არამედ იმაზედ, სად უფრო ძლიერია პურის ვაჭრობა. ამერიკაში სანავთსადგურო სადგურს აი რა ანგარიშით აკეთებენ: რამდენი ხორბალი გაივლის ელევატორში, იმის კვალობაზედ, ერთი $7^{1}/_{2}$ პატარას.

რადგან ჩვენში ისე სწრაფად ვერ იმოძრავებს საქონელი, შეიძლება ერთი ხუთად პატარა ავაგოთ, ესე იგი, თუ წლის განმავლობაში ფოთის ელევატორში 5 მილ. ფუთმა ხორბალმა გაიარა, საკმარისია ისეთი ელევატორი, რომელიც ერთბაშად ერთს მილიონს ფუთს პურს მაინც დაიტევს. ელეცკის პურის ელევატორ-საწყობი 400,000 ფუთს იტევს და ამასობაში შინა ელევატორად ითვლება. ამ ელევატორის აგება ელეცკის ერობას 79,000 მან. დაუჯდა, თუმცა-კი ბრიანსკის ქარხანას, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ეს საქმე, ბ-ნ მასლიანიკოვის სიტყვით, 135,000 მან. დაუჯდა.

ხუროთ-მოძღვარმა ა. რ. კუშელევსკიმ ელევატორების შესახებ მოხსენება წაიკითხა მოსკოვის სამეურნეო და სატეხნიკო საზოგადოებათა შეერთებულს სხდომაზედ და სთქვა, რომ ამერიკაში, სადაც მუშაც ძვირია, ვიდრე რუსეთშია, და არც შენობის მასალაა იაფი, სანავთსადგურო ელევატორი ყოველ ერთის ბოჭკა პურის დამტევი 12 მან. ჯდება, შინა ელევატორისა—4 მან. 50 კაპ. და სადგურისა—1 მან. 75 კაპ. ბ-ნ კუშელევსკის აზრით, ესევე ფასი, რუსეთისათვის რომ ვიანგარიშოთ, თუ გადაჭარბებული არა, ნაკლები არ მოგვივა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენში ელევატორი, თუ უფრო იაფად არა, ძვირად არასოდეს არ დაჯდება, ევროპასთან შედარებით რომ ვსთქვათ.

გ. მაიაშვილი

## წვრილი ამბავი

— ჩიკაგოს უნივერსიტეტს თავისს წიგნთ-საცავისთვის ბერლინში 280,000 ტომი და 120,000 პატარა წიგნი უყიდნია.

— ნიცცას მკვიდრნი მცხოვრებნი და მოგზაურნი გაკვირვებულნი არიან ერთის ახირებულის „ქარხანით“, რომელიც იქ ერთს ფრანგს, ლიონს გაუმართავს. ამ „ქარხანაში“ ერთი უცნაური მანქანაა გამართული, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ უდროოდ დაბადებული (დღენაკლები) ბავშვები გამოზარდოს. ლიონს ქარხანაში ოთხი შუშის უუთი გაუმართავს, რომელშიაც უდროოდ დაბადებულს ბავშვებს აწყობს და, როგორც წიწილებს, ისე ინახავს სითბოში, ვიდრე დღე-ნაკლები ბავშვი ცხრა თვისა შესრულდება. გაზეთები ამბობენ, ვითომ 5 ნოემბერს ლიონთან ერთის უბედურის შემთხვევის გამო უდროოდ დაბადებული ბავშვი მიუყვანიათ, რომელიც სრული ექვსი თვისა არც-კი ყოფილა. ეს ბავშვი ლიონს აუყვანია და თავის „ქარხანაში“ ზრდის თურმე. ლიონს იმედი აქვს, რომ ბავშვი ცოცხალი დარჩება, რადგანაც ექვსი კვირის განმავლობაში ბავშვი წამოიზარდა თურმე და მოსვენებით სძინავს. ლიონი 6—8 თვემდე უფასოდ ზრდის დღე-ნაკლებ ბავშვებს და თუ ემაწვილი ცოცხალი დარჩა, მაშინ-და სთხოვს მშობლებს თავის შრომის ჯილდოს.

— ავსტრიის ერცჰერცოგინას მარიამ-ვალერიას ერთ-მოქმედებიანი კომედია დაუწერია, რომელიც წარმოდგენილ იქნება ვენის სატასტო თეატრში. ამ კომედიაში უმთავრესი როლი უნდა ასრულოს თურმე 12 წლის ქალმა.

— ანტვერპენის ნავთსადგურში 11 დეკემბერს ერთი გემი აფეთქდა, რომელშიაც რაღაც შემთხვევით დინამიტის პატრონები ყოფილა. ამბობენ, ბევრი კაცი მომკვდარა და დაშავებულა.

— ბადენის მთავრობას იქაურს უნივერსიტეტში ქალებისთვის სწავლის ნება დაურთავს ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის შესწავლისა.

— ლონდონის სასამართლოში ერთი ექიმი დაუბარებიათ მოწმედ, რომლისთვისაც ფიცით უნდა წამოერთვად ჩვენება. ექიმს ფიცის მიღებაზედ უარი უთქვამს, რადგანაც, თუ დამაფიცებთ, სასხარებას უნდა ვემთხვიოო და მე-კი მე ადამიანისთვის [illegible] მიმაჩნია, რადგან [illegible] ავადმყოფი [illegible] ავადმყოფობ[illegible].

— მეცნიერს გნაუერს [illegible], რომ ფრინველებში ყველაზე დიდ ხანს გედი ცოცხლობსო. ამბობენ, რომ ერთს გედს 300 წელიწადი უცოცხლია თურმე, გნაუერი ამბობს, რომ რამდენიმე მიმინოც მე თითონ გნახე, რომლებშიაც ერთი 162 წლისა იყოო. არწივი და ქორიც თურმე ბევრს ხანსა სცხოვრობს. 1818 წელს ერთი არწივი მომკვდარა, რომელიც 1715 წელს დაუჭერიათ და მას შემდეგ, თავისუფლებას მოკლებულს, 103 წელიწადი უცოცხლია გალიაში. შენბრუნის სამეფო კოშკში 1824 წელს ერთი ქორი მომკვდარა, რომელიც 1706 წელს დაუჭერიათ; მაშასადამე ამ ქორს გალიაში 118 წელი უცოცხლია. როგორც ამბობენ,ყვავიც 100 წლამდე ცოცხლობს თურმე. მგალობელ ფრინველებში უკ-

---

კენ იწურება, დაინახოს ბავშვის ღიმილი, ოქროს ფრად მოფრიალე ხომალდის აფრა შორს, ზღვის სივრცეზე, რომ მთლად, რაც ყინულია მის გულში, სულ დადნეს და „სულმაც გამოიღვიძოს“.

მანეთიანი, რომელიც ყველა თავის საქმის გამო მოკლედა და საბუთიანად ლაპარაკს იყო დაჩვეული, მიხვდა, რომ ყოველივე წარმოთქმული საქმეს არ შეეხებოდა.

— მე გთხოვეთ, შეაწყვეტინა იმან ლაპარაკი პოეტს: გეჩვენებინათ ჩემთვის კეთილი საქმე.

— დიაღ, მართალია, ბატონი ბრძანდებით, ვიცი... მოგახსენებთ! მაგრამ იმედი მაქვს, თქვენც დამეთანხმებით, რომ არ შეიძლება, არ შევაქო ის მშვენიერი ვარსკვლავი, რომელმაც თავისის მხურვალე სხივებით ასეთი სასწაული მოახდინა. პოეტი მივიდა ფანჯარასთან დაიწყო ერთი მშვენიერი ლექსი.

მაგრამ ხაიმ ივანიჩმა პოეტს ლექსის განგრძობა აღარ დააცალა. მანეთიანს დარდი არა ჰქონდა იმისი, რომ შეიძლებოდა ამ ლექსის შეწყვეტით კაცობრიობის პოეზიას ძვირფასი განძი დაეკარგა; მანეთიანმა პირდაპირ უთხრა, ეგ ლექსი შინ დაათავე და ეხლა-კი საქმის შესახებ მელაპარაკეო.

— ოჰ, რა უწყალო კაცი ხარ! შეჰყვირა პოეტმა; მაგრამ, რა გაეწყობა, გემორჩილები. ყური დამიგდეთ! თქვენ კალმით აუწერელი და ენით გამოუთქმელი ნეტარება მოგელით. ნეტარება ალტაცების სიყვარულისა, სახელი გამარჯვებულის სარდლისა, სიხარული ოცის ათასის თუმნის მომგებისა, ყოველივე ეს, ნარცხის ნარცხიც არ არის იმ სიტკბოებისა, რომელიც თქვენ მოგელით! მე თქვენ შემოგნატრი სწორედ და, ჩემს მუზას რომ ეგრე სასტიკად არ ეპყრობოდეთ, ერთს პატარა ლექსად გამოვთქვამდი იმ ნეტარებას, მაგრამ სახეზედ რაღაც მოუთმენლობას გატყობ.

— მოუთმენლად მინდა შევიტყო, სთქვა მანეთიანმა: რა სიტკბოება უნდა იყოს ისეთი, რომ ორის ათასის თუმნის მომგებ გლახის სიხარულს აღემატოს.

— ეგ არის სიტკბოება მდიდრისა, რომელიც თავისის ნებით გაღარიბდება, ყოვლად პატივცემულო გულკეთილო ხაიმ ივანიჩ, იმ საოცარმა ვარსკვლავმა გააჩინა თქვენს გულში ღვთის კაცობრიობის სიყვარულისა! თქვენ უნდა დაახურდაოთ ფულად მთელი თქვენი აქციები, გირავნობის ქაღალდები, ფონდები და დაურიგოთ გაჭირვებულებს.

— და მაშინ ვიგრძნობ აუწერელსა და გამოუთქმელს ნეტარებას? ჰკითხა პოეტს მანეთიანმა სიცილით.

— დიაღ! იმ წამიდგან, როდესაც თქვენ დაიწყებთ საქმეების ლიკვიდაციას და ღარიბებს დაურიგებთ თქვენს ქონებას, თქვენს გულში დაიწყებს დენას ნაკადული კაცის ბედნიერების ყოვლად უდიდესის წყაროსი. როდესაც თქვენ აღარა დაგრჩებათ-რა და გამოხვალთ სამუშაოს საძებნელად, თქვენი გული აივსება სამოთხის ნეტარებით, მაშინ შეჰყვირებთ ფაუსტივით: „შესდეგი, წუთოვო!“

ხაიმ ივანიჩის ღონიერმა ხითხითმა და ხარხარმა პოეტის აღტაცებას ბოლო მოუღო. გულნაწყენი მუზა გაჩუმდა, როგორც გაწყვეტილი სიმი.

— აბა, ვისაც სიცილი უნდა, სულ თქვენ უნდა გელაპარაკოთ— ეუბნებოდა მანეთანი,—ემაგისთანა სისულელეს, ძალიან რომ დამავალოს კაცმა, მაშინაც ვერ მოვიგონებ. იცით რა? ერთი თქვენ ჩემის ქარხნის მოციქულესა და მოჯიბრეს უქადაგე, რომ მაგ ნეტარებით გული დაიტკბოს და, თუ თქვენ იმას შეაცდენთ, მე მზადა ვარ მოვისმინო ყველა თქვენი ლექსი.

პოეტი წავიდა მეტად გულ-დამწვარი, მაგრამ, რო დაინახა შობის ვარსკვლავი, კვლავ დაავიწყდა ყველაფერი და თავისს თავს იმ ტკბილის იმედით ანუგეშებდა, რომ, თუ დღეს არა, ერთხელაც არის მანეთიანი იგრძნობდა ყველაფერსა იმ აღსრულებდა იმისს ნდევას. ხაიმ ივანიჩთანკი ამ დროს სხვა სტუმარი შემოდიოდა. ახალი სტუმარი იყო საკმაოდ ჩასუქებული პროფესორი დარბაისლური სახისა, დარბაისლურადვე დავარცხნილის მშვენიერის თმა და წვერით.

(დასასრული იქნება)

ლაზედ ცოტას ბულბული სცოცხლობს. გალიაში დამწყვდეული ბულბული 10 წელიწადს მლივსა სძლებს თურმე.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა განუცხადოთ რაჟდენ ალფეზას ძეს გაჩეჩილაძეს, რომლისაგანაც მივიღე 9 მ., 50 კ., შეგროვილი მის გამო სად. ბექათუბანში რკინის გზის მოსამსახურეთა შორის ჩემდა რწმუნებულ სკოლის სასარგებლოდ.

გიგზავნით აგრეთვე შემომწირველთა სიასაც: რაჟდენ გაჩეჩილაძე 1 მ., ანთიმოზ მაღრაძე 1 მ., 50 კ., ივანე ჩხეაძე 50 კ., ნიკოლოზ სიმონის ძე კიკნაძე 50 კ., გიორგი რევაზიშვილი 50 კ., რამან ყიფიანი 50 კ., სვიმონ ყალაბეგაშვილი 1 მ., გიორგი შარიქაძე 40 კ., იოსებ ფანცულაია 1 მ., ვარდენ გიორგის ძე ყიფიანი 20 კ., სოლომან დევდარიანი 30 კ., რაფიელ ხარაძე 50 კ., ბესოლოვი 50 კ., ბარბახიგო 20 კ., ჭიჭინაძე ანდრო 50 კ., ანდრო შაფათავა 40 კ.

წევის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
იასონ ლამბაშიძე.

---

## დეპეშა

24 დეკემბერი

**პეტერბურგი**. უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ 5000 მანათი მიეცეს, ვინც იმ დამნაშავეთა აღმოაჩენს, რომელთაც 25 ნოემბერს ვლადივოსტოკის ხაზინიდგან 348 ათასი მანათი მოიპარეს ქვემოდგან მიწის გამოთხრის შემწეობით, და 10% ნაპოვნისა—თვით ნაპარევის აღმომჩენელს.

**სოფია**. პორტამ წინადადება მისცა ბოლგარიის მთავრობას, რომ დაწვრილებით ეუწყებინა შადურნის განდევნის ამბავი. ბოლგარიის მთავრობამაც დაწვრილებით აუწყა ყველა უკვე გამოქვეყნებული წვრილმანი ამ საქმისა და იმ საგანსაც შეეხო, დაარღვია თუ არა ბოლგრიამ შადურნის განდევნით კაპიტულიაცია. ბოლგარიის მთავრობა ამტკიცებს, უფლება მაქვს, უცხოელნი განვდევნო ხოლმე და დასასრულ ამბობს, ვიმედოვნებთ, რომ საფრანგეთი უარჰყოფს თავისს გარდაწყვეტილებას და კვლავ აღადგენს ბოლგარიასთან სადიპლომატიო ურთიერთობასაო.

25 დეკემბერი

**თეირანი**. აგიტაციით წინააღმდეგობას კვლავ უწევენ თამბაქოს მონოპოლიას. გუშინ შაჰის სასახლის წინ ხალხი შეიყარა და მღელვარებდა. შაჰის მესამე შვილი, სამხედრო მინისტრის მოთანამდებე, ამაოდ სცდილობდა ხალხი დაემშვიდებინა. მხოლოდ ჯარმა გაფანტა აღელვებულნი და ამ დროს რამდენიმე კაცი მოიკლა კიდეც. ეშინიანთ, რომ აჯანყება არ მოხდესო.

**ვენა**. იმპერატორმა ვენგრიის პარლამენტის საქმეთა წარმოების შეწყვეტის დროს შემდეგი სთქვა: „ჩვენი მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან და აგრეთვე ჩვენი მოკავშირეობაც თავმდებია მშვიდობიანობის დაურღვევლობისა, სავაჭრო ხელშეკრულობანი უფრო განამტკიცებენ ჩვენს საპოლიტიკო კავშირს ორს მეზობელს სახელმწიფოსთან და ამასთანავე ხელსაც შეუწყობენ იმავე მშვიდობიანობის დაურღვევლობასაო“.

**პარიჟი**. ტანჟერში მომხდარ არეულობის გამო საფრანგეთის მთავრობამ სამხედრო გემი გაგზავნა მაროკოში.

რუსეთის მთავრობასა და ფრანგ ფულის პატრონებს შორის მოლაპარაკებაა იმის შესახებ, რომ უკან წაიღონ 200 მილიონი ფრ., რომელიც მთავრობამ უკვე გამოისყიდა უკანასკნელ 500 მილ. სესხის გამოცემის დროს.

**ათინა**. გუშინ აქ მობრძანდა დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე.

**ვენეცია**. დღეს დაიწყო საერთაშორისო სასანიტარო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 30 დეპუტატი 15 სახელმწიფოსი.

26 დეკემბერი

**ბერლინი**. კრუპპის თოფ-იარაღის ქარხანაში კვლავა სცადეს უკვამლო თოფის წამალი, რომ შეეტყოთ, თუ რა გავლენას იქონიებს თოფზე ძლიერი გახურება და სინესტე. გამოცდამ აღმოაჩინა, რომ წამალი ვარგისია და გამოსადეგიც ომში.

**პარიჟი**. ცნობილი მწერალი გიულდე მოპასსანი სამკურნალოში ჩააბარეს, რადგან შეშლილობის დროს თავის მოკვლა დააპირა.

**ვაშინგტონი** 1891 წლის სიმინდის მოსავალი ძლიერ დიდია. საზოგადოდ ჭინახული აუარებელი მოვიდა.

27 დეკემბერი

**ბელგრადი**. ბოლგარია დიდს შეიარაღებაშია. ავსტრიიდგან იქ მრავალს საომარს იარაღსა, დინამიტსა და ცხენებს ეზიდებიან. მიუხედავად იმისა, რომ თითონ ბოლგარიასაც წელს კარგი მოსავალი მოუვიდა, მაინც სერბიისაგანაც მრავალი ჭინახული შეისყიდა.

**ქაირი**. დღეს ინფლუენცისაგან ქედივი გარდაიცვალა.

**თეირანი**. თუმცა ახალი არეულობა აღარა მომხდარა-რა, მაგრამ ქუჩებსა და ბაზარში ჯარი მაინც დაიარება. იმ პროვინციებიდგან, სადაც აჯანყება არ მომხდარა, ჯარი მოიშველიეს.

28 დეკემბერი

**პარიჟი**. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ თევთიკ-ფაშა მორჩილი მონა იყოვო ინგლისისა, რომელიც, უეჭველია, ისარგებლებს ამ შემთხვევით, რომ ეგვიპტიდგან თავისის ჯარების გაყვანის ვადა გაახანგრძლივოს. ზოგიერთი გაზეთი იმ აზრისაა, რომ იმ დიდმა სახელმწიფოებმა, რომელნიც ამ საქმეში ურევიან, კვლავ უნდა ასტეხონ ეგვიპტის საქმის გადაწყვეტის შესახებ ბაასი. მემკვიდრე პრინცი აბბას-ფაშა საფრანგეთის მომხრეა.

**ტანჟერი**. ნავთსადგურში ინგლისის სამი ხომალდი დგას, მაგრამ ჯარები-კი ჯერ არ გადმოუსხამთ. ტანჟერის მახლობლად მცხოვრებნი კაბალები მზად არიან დაემორჩილნენ. მათ წინაამდეგ მოქმედება ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. საქმე ისე აღარ არის გამწვავებული.

პეტერბურგის ბირჟა, 27 დეკემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 18 | 8, 21 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 164½ | — „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 240½ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 219 |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . | 199 | — „ | 200½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — „ | — „ | — „ |
| 6% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ 1892 წლის პირველ თებერვლიდგან ქირით იძლევა ქალაქის სახლში, ერევნის მოედანზედ, სარდაფი ღვინის საწყობის გასამართავად და ერთიც სავაჭროდ. ფასის შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში. (3—1)

---

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საარჩევანო კრება მომავალი 1892—1895 წ. ხმოსნების ასარჩევად დანიშნულია: პირველი ხარისხისათვის 9 იანვარს, მეორესი—13 და მესამესი 16 იანვარს მომავლის 1992 წ., დილის ათ საათზედ. (1—1)

---

მომავალ დღესასწაულებისთვის ისყიდება საუკეთესო კახური ღვინოები თავ. ი. გ. ჭავჭავაძესა და სხვა მემამულეთა მამულისა, თუნგი 60 კ. ვიდრე 3 მან. ბოთლი 15 კ. ვიდრე 1 მ. სარდაფი იმყოფება ველიამინოვის ქუჩასა და შუაბაზრის კუთხეში, სახლი წინამძღვაროვისა, სარდაფი სოლომონ ივნეს ძის კურდღელოვისა. (2—1)

---

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ცდათს ცალს ან მეტს იყიდის ნაღდ ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

---

# აბრეშუმის თესლეულობა
## ძმ. პასხალიდებისა
ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში და საბრეშუმო, სადგურში მუშტაიდში, დაბეჭდილის ოთხ-კუთხის ყუთებითა და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათა პასხალიდებს. (6—6)

---

## ი. ალოიზი და ამხ.

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად ი. ალოიზი

(16—4)

---

## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

ა. რალლეს და ამხ.

ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:

ხავერდის პუდრა

ფერადი საპონი გლიცერინისა

კვერცხის საპონი

უყვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—4)

„Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 18 მარტის №-87-ში

---

## Открыта подписка на 1892 годъ
НА ГАЗЕТУ
# „КАСПІЙ“.

Въ 1892 году „Каспій“ будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣпраздничыхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Кромѣ обычныхъ газетныхъ отдѣловъ, „Каспій“ имѣетъ еще спеціальный „Нефтяной отдѣлъ“.

*Подписная цѣна:*

| СЪ ДОСТАВКОЙ. | | | | СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ: | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 7 | руб. | — коп. | На годъ | 8 | руб. | 50 коп. |
| „ полгода | 4 | „ | — „ | „ полгода | 5 | „ | — „ |
| „ 3 мѣсяца | 2 | „ | — „ | „ 3 мѣсяца | 5 | „ | — „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 | „ | — „ | „ 1 мѣсяцъ | 1 | „ | 50 „ |

**За границу:**

На годъ . . . . 13 руб.
„ ½ года . . . 7 „

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 р. городскими и 4 р. 50 к. иногородными подписчиками; затѣмъ 15 февраля—2 р. и 15 марта—2 р.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Армянская улица, домъ Красильникова; въ Тифлисѣ—въ „Центральной книжной торговлѣ“ и въ книжномъ магазинѣ Хиддекеля; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; въ Батумѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе; въ Елизаветполѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами. Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Баку, въ редакцію газеты „Каспій“.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Каспія“ 1892 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году, со дня подписки. (3—2)

---

# ნამდვილი ბზზოს საპონი მქ. ლენგილიასი ვენაში

ისყიდება ყოველს საფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

(20—3)


Дозв. ценз. Тифлисъ, 28-го Декабря 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.